ფანჯრის დახურვა X

ჯანი მრთელი

# კომპანია «კამელინი»

## მუდამ თქვენს გვერდით

თაფლის უნიკალური სამკურნალო თვისებები ანტიკური ხანიდან არის ცნობილი აპითერაპიის სახით. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ანტიბიოტიკები, ჭრილობების დამუშავება ხდებოდა თაფლით, რომელიც ავლენდა ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციულ თვისებებს. ცნობილმა ქირურგმა ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძემ, იცოდა რა თაფლის თვისებები, გვიან ღამით, როდესაც დაჭრილი პაციენტი მოუყვანეს, რომელიც სისხლისგან იცლებოდა და გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებდა, საავადმყოფოში გადაყვანამდე ჭრილობა თაფლით დაუმუშავა და პაციენტი მცირე დროში გამოჯანმრთელდა. აქედან გაუჩნდა ბატონ ძაგულის დიდი ინტერესი თაფლის სამკურნალწამლო საშუალებად გამოყენებაზე. ჩატარდა მრავალი ექსპერიმენტი, კვლევა, რომლის შედეგად, სპეციალური სახეობის თაფლისგან წარმოებულმა ბიოპრეპარატმა „კამელინმა“ გამოავლინა ძლიერი იმუნომოდულატორული, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და ანტიბლასტომური, ანუ სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები. „კამელინის“ მიმართ ინტერესი დიდი იყო და არც ახლა ჩამცხრალა. უნიკალური პრეპარატის ავტორი ვერ მოესწრო „კამელინის“ დღევანდელ პოპულარიზაციას , რომელიც დიდი ძალისხმევის ფასად მოახერხეს მისმა მეუღლემ, ასევე ქირურგმა, აწ



*გარდაცვლილმა გუგული აბაშიძემ, ქალიშვილმა ქეთევანმა და სიძემ ავთანდილ მახარობლიძემ. გვესაუბრება კომპანია „კამელინის“ დამფუძნებელი, მხატვარი ქეთევან მაღლაკელიძე.*



**— ქალბატონო ქეთი, უპირველესად, რედაქციის სახელით მწუხარებას გამოვხატავ ქალბატონი გუგულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ჰაიდარ აბაშიძის ქალიშვილი გახლდათ.**

— მადლობთ, სწორედ დედაჩემის ძალისხმევა და დამსახურებაა ის, რომ მამაჩემის მიერ წლების განმავლობაში გაწეულმა უდიდესმა შრომამ უკვალოდ არ ჩაიარა. ჩვენი ოჯახი ფლობდა მამაჩემის დატოვებულ უამრავ საარქივო მასალას „კამელინზე“ ჩატარებულ კვლევებზე და დედამ გაჩერების უფლება არ მოგვცა. მას მებრძოლი ბუნება და მტკიცე ხასიათი მამამისის, ჰაიდარ ბაბუას მხრიდან მოჰყვებოდა. მოგეხსენებათ, ბაბუა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი გახლდათ, რომელმაც ადრეული ასაკიდან გაილაშქრა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ, მისი ინიციატივით აჭარაში იხსნებოდა ქართული სკოლები, რის გამოც გადაასახლეს კიდეც. 1918-1920 წლებში იგი იყო „სამუსულმანო

ლად მოხსენიება ნამდვილად იმედისმომცემია ყველასათვის. ამ შეხვედრაზე ყოფნა ჩემთვის დიდი პატივი იყო, რაც, შევეცადე, შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვებით გამომეხატა. დედაჩემის გარდაცვალებიდან ჯერ კიდევ ორმოცი დღე არ იყო გასული, როცა ეს მოხდა, მჯერა, მას ესმოდა და უხაროდა, რომ მის ქალიშვილს პატივი ერგო, პატრიარქისთვის მიემართა სიტყვით. შეხვედრაზე მე წავიკითხე ამონარიდი წიგნიდან „აჭარის ხევისბერი“ (რომელიც ბაბუაჩემს ჰაიდარ აბაშიძეს მიეძღვნა და რომლის პრეზენტაციასაც უახლოეს მომავალში ვგეგმავთ), სადაც მკაფიოდ იკვეთება დედაჩემის ოჯახის, განსაკუთრებით მისი ბებიის დიდი სიყვარული ქართული ენის მიმართ. წიგნში დედა იხსენებს, თუ როგორ კარგად იცოდა ბებიამისმა, მუსლიმანმა ქალმა, ქართული ენა. „ქართული ენა ღმერთების ენააო, მზეს ასხივებსო, გაზაფხულივით მშვენიერიაო, მუჰამედიც ამ ენაზე საუბრობდაო“. — ასე ახასიათებდა დიდი ბებია ქართულ ენას.

**— კომპანია „კამელინი“ მო-**

მოყენება. უმეტეს შემთხვევებში ავადმყოფები თავს უკეთ გრძნობდნენ, უმცირდებოდათ ტკივილები და ამცირებდნენ ტკივილგამაყუჩებლების დოზას, საერთო მდგომარეობა უუმჯობესდებოდათ, ხშირად ადგილი ჰქონდა სიმსივნური წარმონაქმნების ზომაში შემცირებას. მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად ნათლად დასტურდებოდა „კამელინის“ ანტიბლასტომური მოქმედება. კომპანია „კამელინმა“ 2004 წლიდან კვლავ განაგრძო ნაყოფიერი ექსპერიმენტულ-კლინიკური კვლევები როგორც საზღვარგარეთის, ასევე საქართველოს სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში. „კამელინი“ მოხვდა უცხოელი მეცნიერების ყურადღების ცენტრში სწორედ მამაჩემის პერიოდის კვლევების და შრომების გაცნობის საფუძველზე. ჩვენ არ ვჩერდებით და სისტემატურად ვაწარმოებთ „კამელინის“ ბიოლოგიურ აქტივობებზე მონაცემების შეგროვებას. მართალია, ადრე პრეპარატი ასოცირდებოდა სიმსივნური პათოლოგიების მკურნალობაზე, მაგრამ მრავალი კვლევების საფუძველზე „კამელინმა“ გამოავლინა სხვადასხვა

სუფლებელი კომიტეტის“ აქტიური წევრი, აგრეთვე სეიმის, პარლამენტის, დამფუძნებელი კრების და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. აქვე სიამაყით დავძენ, რომ ბებიაჩემი მარგალიტა წერეთელი პირველი უჩადრო ქალი გახლდათ, რომელიც 1916 წელს ბათუმის ქუჩებში გამოჩნდა.

**— ქალბატონო ქეთი, 24 მარტს პატრიარქი შეხვდა საქართველოში მცხოვრებ აფხაზებს. უპირველესად, პატრიარქმა დამსწე საზოგადოებას აუწყა რუსეთის პრეზიდენტის მრჩევლის, მიხაილ შვიდკოის წერილზე, რომელშიც პატრიარქის ტიტული ამ ხნის განმავლობაში პირველად სრულად იყო მოხსენიებული. ამ შეხვედრაზე თქვენც იყავით მიწვეული და ამ ახალმა ამბავმა იქ შეკრებილ აფხაზებთან ერთად იმედი, ალბათ, თქვენც ჩაგისახათ.**

— ვიცით, რომ წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანდება, ამის აღიარება, როგორც ვიცით, რუსეთს უჭირდა და ახლახან რუსეთიდან მიღებულ შვიდკოის წერილში პატრიარქის ტიტულის სრუ-

**ნაწილეობის მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებაში, პატრიარქთან შეხვედრაზე თქვენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებშიც გამოხატეთ მზადყოფნა, შეიტანოთ მოკრძალებული წვლილი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეში...**

— მზად ვარ, მივიღო აქტიური მონაწილეობა ყველა იმ საქმეში, რომელიც ჩვენს ერს წაადგება. მივესალმები, თუკი აფხაზეთში უნეტარესისა და უწმინდესის კურთხევით ახალი ტაძარი აშენდება და ამაში კომპანია „კამელინი“ თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს.

**— დაბოლოს, ვისაუბროთ პრეპარატ „კამელინზე“, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს როგორც მეცნიერთა, ასევე ექიმების მხრიდან..**

— წლების წინ „კამელინით“ მკურნალობის მსურველები ძირითადად ონკოპაციენტები იყვნენ, მოგვმართავდნენ პაციენტები, რომელთა მდგომარეობა უმძიმესი და მკურნალობადაგვიანებული იყო, მათ „კამელინის“ იმედიღა ჰქონდათ. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გაიარეს მკურნალობის ყველა ეტაპი — ოპერაციული, ქიმიოთერაპიული, ასევე მოგვმართავდნენ ისეთებიც, რომლებსაც ონკოლოგების დანიშნულებებთან ერთად სურდათ „კამელინის“ გამოყენების ჩვენებები და შეიძინა ახალი მიმართულებები მედიცინაში (რევმატოლოგიასა და უროლოგიაში, სტომატოლოგიაში, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების, განსაკუთრებით იმუნური თვალსაზრისით და სხვა დაავადებების დროს). ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ დაინტერესებულ ექიმს გავაცნოთ „კამელინის“ ბაზაზე დამზადებულ სხვადასხვა ფორმის პრეპარატებზე ჩატარებული ადრეული და თანამედროვე კვლევების შედეგები. კომპანია „კამელინი“ ამჟერად აწარმოებს ოთხი სახეობის „კამელინს“ — ინიექცია — „კამელინ M 1“, კაფსულა „კამელინ M 2“, მალამო „კამელინ M 3“, სანთლები — „კამელინ M 4“. მალე გამოვა „კამელინფლუ“ — სპრეი ყელისა და პირის ღრუს ინფექციებისათვის. „კამელინის“ არცერთ ფორმას არ გამოუვლენია უკუჩვენება და მისი შეთავსება შესაძლებელია ყველა სამკურნალო საშუალებასთან. ჩვენი მიზანია, „კამელინმა“ დაიკავოს ღირსეული ადგილი სხვა ქვეყნების ფარმაცევტულ ბაზარზეც, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ნედლეულის მოთხოვნას და ხელი შეეწყობა მეფუტკრეობის დარგის განვითარებას საქართველოში.

*ესაუბრა*

***მაია ცომაია***

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 98-57-78; 93-20-87; 98-62-25 (ოფისი); 45-33-68; 22-26-68; 75-04-08; 899-33-10-89; 877-73-56-51, 899-23-03-33.

WWW.CAMELYN.GE

Copyright © CAMELYN Ltd. 2011